ქართული, როგორც მეორე ენა

2016 იანვარი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 100, ხოლო ამ ბუკლეტში მოცემული დავალებებისა - 89.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, მეთოდიკა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

№№ 1-21 დავალებების პასუხები შეგიძლიათ შემოხაზოთ ტესტის ბუკლეტში და პასუხების ფურცელზე შემდეგნაირად გადაიტანოთ: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უჯრედებში **X** ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.

<u>პასუხების გადატანისას არ აგერიოთ დავალებების ნომრები!</u>

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ არასწორად მონიშნული უჯრედი და იმავე ნომრის ქვეშ მონიშნეთ სხვა.

№№ 22, 23, 25 და 26 დავალებების პასუხები შესაბამის ნომრებთან განთავსებულ ცხრილებში უნდა გადაიტანოთ (ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით მითითებებს ტესტის ბუკლეტში იხილავთ).

№№ 27-31 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე (ტესტის ბუკლეტში დატოვებულია ხაზები შავი სამუშაოს შესასრულებლად). იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები.

№ 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული.
იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!
ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც ტესტის ბუკლეტში ადგილია დატოვებული შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელზე!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელზე საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ და შემოხაზეთ სწორი. *უმჯობესია დავალება ტექსტის მოსმენის დროს შეასრულოთ.* ტექსტს მოისმენთ ორჯერ. ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

(1) **1. ლევან ბრეგაძის აზრით, რა გზით უნდა დააძლევინოს მასწავლებელმა მოსწავლეს სიზარმაცე?**
ა) მაგალითის მიცემით.
ბ) მოტივაციის ამაღლებით.
გ) ნდობის მოპოვებით.
დ) ნიჰილიზმის აღმოფხვრით.

(1) **2. რესპონდენტის აზრით, რა განაპირობებს სწავლისადმი მოსწავლეთა ნიჰილისტურ დამოკიდებულებას?**
ა) ინერტულობისაკენ მათი მიდრეკილება.
ბ) სწავლა-განათლებისათვის არახელსაყრელი გარემო.
გ) ჩვენში დამკვიდრებული პროტექციონიზმი.
დ) ხარვეზები განათლების სისტემაში.

(1) **3. ლევან ბრეგაძეს მიაჩნია, რომ ადამიანის სულიერ ფორმირებაში მთავარი როლი აკისრია:**
ა) ინფორმაციის მიღებას.
ბ) ლიტერატურის კითხვას.
გ) მზერით აღქმას.
დ) მუსიკის მოსმენას.

(1) **4. რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდების წიგნისაგან დაშორების მიზეზი ის არის, რომ**
ა) თანამედროვე ახალგაზრდების მოთხოვნებს ტრადიციული წიგნი ვეღარ აკმაყოფილებს.
ბ) თანამედროვე ბავშვების გონებრივი შესაძლებლობები წიგნის გარეშეც ვითარდება.
გ) ისინი სმენითა და მზერით მიღებული შთაბეჭდილებებით კმაყოფილდებიან.
დ) სმენითა და მზერით ადამიანს მეტი ცოდნის მიღება შეუძლია.

(1) **5. რას ფიქრობს ლევან ბრეგაძე დაძალებით კითხვის თაობაზე?**
ა) დაძალება ბავშვს კითხვას მხოლოდ შეაძულებს.
ბ) კითხვას დაძალებით ვერავის შეაყვარებ.
გ) კითხვის დაძალებით შეყვარება შესაძლებელია.
დ) მხოლოდ დაძალებით შეიძლება კითხვის შეყვარება.

(1) **6. რესპონდენტი ფიქრობს, რომ ლიტერატურის მოყვარული ადამიანები:**
ა) ვერ ახერხებენ ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევას.
ბ) ყველანაირ სიტუაციაში სირთულეებს აწყდებიან.
გ) ცხოვრებისეულ სირთულეებს ადვილად ძლევენ.
დ) ცხოვრებისეულ სირთულეებს თავს არიდებენ.

(1) **7. ლევან ბრეგაძის აზრით, რა უნდა შევთავაზოთ მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავად?**
ა) თავიდანვე უნდა შევთავაზოთ წასაკითხად პოეტური ნაწარმოებები.
ბ) ლიტერატურა უნდა შევარჩიოთ მოსწავლის ინტერესების მიხედვით.
გ) მოსწავლეებს ყველა სახის ლიტერატურა უნდა შევთავაზოთ.
დ) სჯობს მოსწავლეებს თავდაპირველად ნათარგმნი ლიტერატურა წავაკითხოთ.

(1) **8. ვის მიიჩნევს ლევან ბრეგაძე უბედნიერეს მკითხველებად?**
ა) ვინც განურჩევლად ყველა სახის ლიტერატურას კითხულობს.

ბ) ვინც ცოტა ნაწარმოებს, მაგრამ ბევრჯერ კითხულობს.
გ) ვისაც ყველაზე მეტად პოეზიის კითხვა უყვარს.
დ) ვისაც ყველაზე მეტად პროზის კითხვა უყვარს.

(1) **9. რომელი სახის ლიტერატურას ანიჭებს უპირატესობას რესპონდენტი?**
ა) ბიოგრაფიულ რომანებს.
ბ) პოეტურ ნაწარმოებებს.
გ) პროზაულ ნაწარმოებებს.
დ) შემეცნებით-გასართობ ლიტერატურას.

(1) **10. ლევან ბრეგაძის აზრით, ვინ არის კარგი მასწავლებელი?**
ა) ვინც მოსწავლეებს არასოდეს არიგებს ჭკუას.
ბ) ვინც მოსწავლეებს დამოუკიდებელ აზროვნებას შეაჩვევს.
გ) ვინც მოსწავლეებს ღვთის რწმენას ჩაუნერგავს.
დ) ვინც მოსწავლეებს ხელოვნების სიყვარულს გაუღვივებს.

(1) **11. რომელი მოსაზრების დასაბუთების მიზნით იმოწმებს რესპონდენტი ბრეხტის სიტყვებს?**
ა) კარგი მასწავლებელი დროულად ანებებს თავს პედაგოგიურ საქმიანობას.
ბ) კარგი მასწავლებელი მოსწავლეებს მუდმივად რჩევა-დარიგებებს არ აძლევს.
გ) მასწავლებლობა მოსწავლეებისათვის მუდმივად რჩევა-დარიგებების მიცემას გულისხმობს.
დ) მასწავლებლობა ურთულესი ხელოვნებაა და მას ყველა ვერ დაეუფლება.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „მეფე“:**

არაჩვეულებრივ სიზმრებს ხედავდა ნიკალა, როცა კიბის ქვეშ ეძინა. გვერდები მაინც სტკიოდა და როგორც კი ტკივილს იგრძნობდა, ის შეჩვეული ხმა მაშინვე გამოელაპარაკებოდა ხოლმე.

– ნიკო, გშია, ნიკო?
– კი.
შემპარავი ხმა იყო.
– ნიკო, გწყურია, ნიკო?
– კი.
– ხომ არ გცივა?
– ჰო, სიცივეა.
– გვერდები ხომ არ დაგებეჟა მაგ იატაკზე წოლითა?
– კი, დამებეჟა.
– მერე, ნუთუ არ გინდა კარგი ცხოვრება, ნიკალა?
– მინდა, კი.
– ჰოდა, აიღე და გააქნიე ეგ ოხერი მკლავები, შენს სოფელში ქვაზე დასახლდება კაცი, ბიჭო.
შემპარავი ხმა იყო, კახურად უქცევდა.
– ხომ იცი, როგორი დალოცვილი მიწაა კახეთში, რა ვაზი ხარობს...
– როგორ არ ვიცი.
– მერე, არ წამოხვალ სოფელში?
ნიკო ჩუმად იყო.
– არ წამოხვალ-მეთქი?
– არა.
– რატომ?
– მე... – გაიფიქრა ნიკომ და გაწითლდა. – მე მიწის მუშა არა ვარ.
– მაშ, ვინა ხარ?!
– მხატვარი.
– მხატვარი? მერე და რა გაბადია?

ამაყად ჩაიცინებდა ხოლმე ნიკალა.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს ტანსაცმელშემოხეული კაცი მეფე იყო და თავისი ქვეყანა ჰქონდა... დიდი და თვალუწვდენელი იყო ნიკალას სამფლობელო, ქალაქებსა და სოფლებში ხალხი ცხოვრობდა, მწვანე ტყეებში ათასნაირი ცხოველი ირეოდა, ცაში ფრინველები დანავარდობდნენ, მდინარეებში თევზები დაცურავდნენ და ლურჯ ზღვაზე ნავები ტივტივებდა. ნიკალას ქვეყანაში გათენებისას შავი ბინდი იწელებოდა, იწელებოდა, თხელდებოდა და ბოლოს ვარდისფრად იხლიჩებოდა ცა, დალოცვილი სინათლე ეფინებოდა ქვეყანას, ხალხი იღვიძებდა, იზმორებოდა და პირს იბანდა; შემდეგ დინჯად ამოდიოდა მზე და ყველაფერი ლამაზდებოდა, მშვენიერდებოდა, ჭუჭყიანი გუბეების ზედაპირზედაც კი ზანტად იკლაკნებოდა ცისარტყელას მბზინავი ფერები.

ცხოვრება დუღდა ნიკოს ქვეყანაში: გლეხის ბიჭი ბატებს მიდენიდა, მადლიან ყურძენს ფეხებით სწურავდნენ მძიმე კაცები, საჭმლის საძებრად მიეშურებოდნენ დედა ღორი და იმისი კოხტა გოჭები, ხალხი დღეობებზე მიდიოდა, ჩარდახიან ურმებში ისხდნენ და დანაღვლიანებული ხარები უხალისოდ მიაგორებდნენ მძიმე ურემს, მზარეულები საჭმელს ამზადებდნენ, გაბურძგვნილულვაშიანი მეეზოვე ქუჩებს დინჯად გვიდა, ზურგმაგარი მუშები არხეინად დაატარებდნენ მძიმე ტიკებსა და კასრებს, სადღაც მიეშურებოდნენ ბედის მონა-მორჩილი ვირი და იმისი პატრონი, სარკეში დაკვირვებით იხედებოდა ორთაჭალის ტურფა და ნაოჭის დანახვაზე უკვდებოდა ჩვილი გული, ვირზე მჯდარ აქიმს ყოველი შემთხვევისათვის ქოლგა გაედო მხარზე და ავადმყოფთან მიდიოდა. ქვეყანას ეღვიძა, მაგრამ ჯერ კიდევ გულის ძილით ეძინათ მდიდარი კინტოს შვილსა და ყვითელქუდა გოგოს.

მაინც რა რბილი ბალახი ლივლივებდა ნიკოს ქვეყანაში, როგორ კრიალებდა ცა! მოქნილი, ჩამოსხმული ირემი კისერმოღერებული იდგა, რქებზე მწვადის ნაჭრები ჰქონდა ჩამოცმული და იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, მუშტისოდენა ვარდები ხარობდა! ლამაზი, წყლიანი თვალები ჰქონდათ ნიკოს ირმებსა და შვლებს, ყველაზე ლამაზ დედაკაცსაც კი შეშურდებოდა მათი თვალები და მიხრა-მოხრა. საკვირველი იყო – ასეთი ლამაზი არსებები მხოლოდ ფოთლებითა და ბალახით საზრდოობდნენ, ხანდახან წყალსაც სვამდნენ. წყალთან კი თოფიანი კაცი ელოდებოდა ირმებს და სროლის ხმაზე ცაში ისარივით ავარდებოდნენ ხოლმე ფრინველები. უშველებელფრთებიანი არწივი მაღლა, ცაში ტივტივებდა და ჩასისხლიანებული თვალებით დაეძებდა მსხვერპლს. ზანტი ნაბიჯით დაიარებოდნენ ზანტი და ხორბლისფერი ლომები, შავი ტახი ყოველთვის მზად იყო საბრძოლველად და თეთრი ეშვები ექავებოდა, პატარა ხმაურზეც სოროსაკენ გარბოდა კურდღელი, მაგრამ არწივი მძიმე, შავი ღრუბელივით აცხრებოდა თავზე.

ამასობაში მდიდარი კინტოს შვილიც იღვიძებდა, კარგა ხანს ბურანში იყო, იქამდე არ წამოდგებოდა, სანამ შიმშილი არ შეაწუხებდა. მერე კარგა ლაზათიანად დანაყრდებოდა, მამის გემოვნების მიხედვით გამოიპრანჭებოდა და თავმომწონედ იდგა მნახველების წინაშე. განიერი შარვალი სქელ ფეხებს უმალავდა, გაფუებული ლოყები ვარდისფრად უღვიოდა. ორსართულიანი ღაბაბი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი და წელის ადგილას ვერცხლის ქამარი შემოერტყა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო მდიდარი კინტოს შვილი, მაგრამ მამისაგან უკვე იცოდა ფულის ყადრი და ცხოვრების გემო, სხვა არაფერი სწამდა; დოინჯშემოდგმული იდგა ეს ბრიყვი და ნიკალა შიშითა და ზიზღით შესცქეროდა თავისი ქვეყნის ბინადარს.

ხალხი კი შრომობდა, მუშაობდა – ოქროსფერ კალოზე დაიარებოდნენ ხარები, გლეხები ყურძნით სავსე გოდრებს ეზიდებოდნენ: ზოგ ქალს მძიმე კოკა შეედგა მხარზე, ზოგიც დაირას აჩხაკუნებდა და არხეინად მიირთმევდა ლუდს.

არწივს კი უკვე მოეძებნა მყუდრო ადგილი და გულგახეთქილ მსხვერპლზე იჯდა. ბასრი ჭანგები მოდუნებულ სხეულში ჩაერჭო და საცა იყო, მზეზე აელვარებული ნისკარტით კორტნას დაუწყებდა.

ტყისგან შორს, ცხრა მთის გადაღმა, უშვილო მილიონერი იდგა და ბავშვებიან ღარიბ ქალს თვალს არიდებდა. ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებული ძვირფასი ნივთი ბრჭყვიალებდა უშვილო ქალის დამჭკნარ მკერდზე, ღარიბ ქალს კი გულზე მაგრად მიეხუტებინა ცოცხალი, ჩვილი არსება და ძუძუს აწოვებდა. გადაჭრილი ხეები მოჩანდა მათ უკან, სადღაც შორს კი მაღალი, მწვანე ტყე ხარობდა, ტყე მთის ფერდობზედაც იყო, მერე ბუჩქები იწყებოდა, მერე, ძალიან მაღლა, ბუჩქებიც თავდებოდა და პიტალო კლდეზე თეთრჩოხიანი ვაჟკაცი იდგა; არწივივით გასცქეროდა მიდამოს, დამბაჩა და დაღესტნური ხანჯალი შვენოდა წელზე. გადასავარდნთან იდგა და იქითკენ იყურებოდა, საიდანაც მტერს ელოდებოდა, ხოლო მის ფერხთით მშობლიური, რძისფერი აული ქათქათებდა, ძნელად გასაწირი.

ასე იყო თუ ისე, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა. მართალია, იშვიათად გამონაკლისიც ხდებოდა – ხანდახან ბედის მონა-მორჩილ ვირებსაც კი რაღაცა ოხრობა გაუწყრებოდა და ზედ შუა ხიდზე

შუბებივით ჩაასობდნენ ხოლმე ფეხებს... მაგრამ ცხოვრება მაინც ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა და საღამოხანს ბნელდებოდა, ბნელდებოდა, ცაზე მთვარე ამოდიოდა და მქრქალი სინათლე ეფინებოდა ნიკალას ქვეყანას.

ნელა, ზანტად, მაგრამ მაინც გადიოდა ღამე: ხან უმთვარო, ხანაც მთვარიანი, ხან უშფოთველი, ხანაც შფოთით აღსავსე და ტლანქი, მძიმე ღამე დაპატრონებოდა ქვეყანას, ბრმა დევივით აწვა ქვეყანას ღამე.

და, კიდევ კარგი, ადრე იქნებოდა თუ გვიან, შავი ბინდი მაინც იწელებოდა, იწელებოდა და ვარდისფრად იხლიჩებოდა ცა...

ერთხელ ერთმა ვაჭარმა ნიკოს ნახატები დაათვალიერა. წესითა და კანონით არ უნდა მოსწონებოდა ამ კაცს ნიკალას ნახატები – ვაჭარი კაცი იყო, ბეწვეულით ვაჭრობდა, სახლში ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული სარკეები ჰქონდა, ღამღამობით მოგებაზე ფიქრობდა, სულ ძვირფასი ქურქები ელანდებოდა. და უცებ შავ მუშამბაზე დახატული ერთი უბრალო კურდღელი ისე მოეწონა, რომ ნიკალა გვერდზე გაიხმო, დაიმარტოხელა და უცნაური ხმით სთხოვა:

– ოღონდ ეგ სურათი მომყიდე, რამდენსაც გინდა, იმდენ ტკიცინა თუმნიანს მოგცემ, ნიკალა...

ერთხელაც ნიკოს სამფლობელო ერთმა ნასწავლმა კაცმა დაათვალიერა და თქვა:

– განა ეს არის ხელოვნება? არა, ხელოვნება სულ სხვა რამეა. კაცი კაცს უნდა ჰგავდეს, შველი – შველს, მთა – მთას, ხე – ხეს, აბა შეხედე, განა ეს დათვია? ტურასა ჰგამს...

უთქმელი კაცი იყო ნიკალა. თავის ნახატს შეაცქერდა... და უეცრად ხმამაღლა თქვა:

– ასე მინდოდა გამეკეთებინა და ეს მე შევძელი.

პატარა ბიჭი კი ისევ ისე დგას და ქალს ყურძნის მტევანს ევედრება. უხეში, ასაკის შეუფერებელი თითები ახლოს მიუტანია მტევანთან და ქალის თანხმობას ელოდება. ქალს სულელური გამომეტყველება აქვს და რაღაცას ფიქრობს, ხელში კი... ტკბილი, გემრიელი ყურძენი უჭირავს – დალოცვილი სიტკბო.

მას სწორედ ეს უნდოდა და მან ეს შესძლო.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **12. რა ჩანს ნიკალასა და „შეჩვეულ ხმას“ შორის საუბრის ეპიზოდში?**

ა) ნიკალა ამაყი და თავდაჯერებულია.
ბ) ნიკალა ამპარტავანი და მედიდურია.
გ) ნიკალა დამცირებული და უბედურია.
დ) ნიკალა ჯიუტი და ახირებულია.

(1) **13. რა იგულისხმება „ნიკალას სამფლობელოში“?**

ა) თბილისის უბნები, რომლებიც ნიკალასათვის ახლობელი გახდა.
ბ) ნიკალას მიერ სიზმრებში ნანახი, ირეალური სამყარო.
გ) ნიკალას მშობლიური კახეთი, სადაც ის გაიზარდა.
დ) სამყარო, რომელიც ნიკალამ თავის შემოქმედებაში ასახა.

(1) **14. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი?**

ა) „– გვერდები ხომ არ დაგებეჟა მაგ იატაკზე წოლითა?“
ბ) „– მერე, ნუთუ არ გინდა კარგი ცხოვრება?“
გ) „– შენს სოფელში ქვაზე დასახლდება კაცი, ბიჭო“.
დ) „– ხომ იცი, როგორი დალოცვილი მიწაა კახეთში“.

(1) **15. რომელ ფრაზაში ჩანს ავტორის ირონიული დამოკიდებულება პერსონაჟების მიმართ?**

ა) „ასეთი ლამაზი არსებები მხოლოდ ფოთლებითა და ბალახით საზრდოობდნენ, ხანდახან წყალსაც სვამდნენ“.
ბ) „ვირზე მჯდარ აქიმს ყოველი შემთხვევისათვის ქოლგა გაედო მხარზე და ავადმყოფთან მიდიოდა“.
გ) „ორსართულიანი ღაბაბი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი და წელის ადგილას ვერცხლის ქამარი შე-

მოერტყა“.
დ) „ჯერ კიდევ გულის ძილით ეძინათ მდიდარი კინტოს შვილსა და ყვითელქუდა გოგოს“.

(1) **16. რის გამო შესცქეროდა ნიკალა შიშითა და ზიზღით მდიდარი კინტოს შვილს?**
ა) „განიერი შარვალი სქელ ფეხებს უმალავდა, გაფუებული ლოყები ვარდისფრად უღვიოდა“.
ბ) „კარგა ხანს ბურანში იყო, იქამდე არ წამოდგებოდა, სანამ შიმშილი არ შეაწუხებდა“.
გ) „მამისაგან უკვე იცოდა ფულის ყადრი და ცხოვრების გემო, სხვა არაფერი სწამდა“.
დ) „მამის გემოვნების მიხედვით გამოიპრანჭებოდა და თავმომწონედ იდგა მნახველების წინაშე“.

(1) **17. რომელ ფრაზაში გვხვდება მხატვრული საშუალება?**
ა) „მოქნილი, ჩამოსხმული ირემი კისერმოღერებული იდგა“.
ბ) „პატარა ხმაურზეც სოროსაკენ გარბოდა კურდღელი“.
გ) „სახლში ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული სარკეები ჰქონდა“.
დ) „შავი ტახი ყოველთვის მზად იყო საბრძოლველად“.

(1) **18. რატომ სთხოვა ერთმა ვაჭარმა ნიკოს ნახატის მიყიდვა?**
ა) ვაჭარი მიხვდა, რომ ნიკალას ნახატი მომავალში ძვირად გაიყიდებოდა.
ბ) ვაჭარმა გადაწყვიტა ძვირფასი ბეწვეულის გარდა ხელოვნების ნიმუშებითაც ევაჭრა.
გ) ნიკალას შემოქმედებამ მოხიბლა ხელოვნებისაგან სრულიად შორს მყოფი ვაჭარი.
დ) ნიკალას შემოქმედებით მოხიბლულ ვაჭარს მხატვრის დახმარების სურვილი გაუჩნდა.

(1) **19. როგორი ადამიანი წარმოგვიდგინა ავტორმა „ნასწავლი კაცის“ სახით?**
ა) ადამიანი, რომელიც ნასწავლია, აფასებს ხელოვნებას, მაგრამ ამის აღიარება არ სურს.
ბ) ადამიანი, რომელიც ნასწავლია და თავისი პრინციპულობით გამოირჩევა.
გ) ადამიანი, რომელიც ნასწავლია და კარგად ხვდება ნამდვილი ხელოვნების ფასს.
დ) ადამიანი, რომელიც ნასწავლია, თუმცა ჭეშმარიტი ხელოვნების დაფასება არ შეუძლია.

(1) **20. როგორია ნიკალა „ნასწავლ კაცთან“ საუბრის ეპიზოდში?**
ა) ამაყი და პირდაპირი.
ბ) მორიდებული და თავმდაბალი.
გ) ფიცხი და უტაქტო.
დ) ჯიუტი და ახირებული.

(1) **21. რომელ ფრაზაშია გადმოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი?**
ა) „არაჩვეულებრივ სიზმრებს ხედავდა ნიკალა, როცა კიბის ქვეშ ეძინა“.
ბ) „ეს ტანსაცმელშემოხეული კაცი მეფე იყო და თავისი ქვეყანა ჰქონდა“.
გ) „შფოთით აღსავსე და ტლანქი, მძიმე ღამე დაპატრონებოდა ქვეყანას“.
დ) „ხელოვნება სულ სხვა რამეა, კაცი კაცს უნდა ჰგავდეს, შველი – შველს“.

(8) **22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 4 წინადადება ზედმეტია.**

უნიკალური ლექსიკონი

ერთ-ერთმა იტალიელმა მკვლევარმა 1621 წელს სპარსეთის ქალაქ პერსეპოლისის ნანგრევებში უცნობი დამწერლობის ნიმუშს მიაგნო. მსგავსი წერილობითი ძეგლები მე-19 საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა ერაყშიც აღმოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს. ეს ტექსტები იმ ენაზე იყო შექმნილი, რომელზე-დაც შუამდინარეთში ლაპარაკობდნენ. ---------- (1). ამიტომ უწოდეს მას ლურსმული დამწერლობა.

ამ დამწერლობით შექმნილი ტექსტების გარეშე შეუძლებელია უძველესი შუამდინარეთის ცივილი-ზაციის გაცნობა. ---------- (2). ისინი თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ სიტყვების განმარტებით არ უნდა შემოფარგლულიყვნენ. ---------- (3).

ამგვარად, ეს ლექსიკონი გახდა ლურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტებიდან ნათარგმნი

სიტყვებისა და ციტატების კრებული. უამრავი ლურსმული ტექსტი გაიშიფრა. ---------- (4). მეცნიერი მეთიუ სტოპლერი წერს, რომ ზოგიერთ ტექსტში წაიკითხავთ, როგორ ამაყობენ მეფეები თავიანთი წარმომავლობით და როგორ განადიდებენ საკუთარ თავს. ---------- (5).

აღნიშნულ პროექტზე უამრავი მეცნიერი მუშაობდა. ---------- (6). მას შემდეგ კიდევ 25 ტომი გამოვიდა, რასაც მთლიანობაში 90 წელი დასჭირდა. ---------- (7).

ეს უნიკალური წიგნი შუამდინარეთის ისტორიის, ლიტერატურის, კანონებისა და რელიგიის ენციკლოპედიაა. ---------- (8).

<u>გამოტოვებული წინადადებები:</u>

ა) ამავე გვერდებზე მოცემულია მაშინდელი ასტრონომების რჩევები.

ბ) აქედან გამომდინარე, ეს ტექსტები ზღვა ინფორმაციას გვაწვდის ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

გ) ზოგ მათგანში კი იმავე მეფეებზე ნათქვამია, რომ ისინი სულაც არ იყვნენ დიდებულები.

დ) რაც მთავარია, ეს არის შეუდარებელი ლექსიკონი იმ მეცნიერთათვის, რომლებიც შუამდინარეთის დამწერლობას სწავლობენ.

ე) ეს ტექსტები ეხებოდა როგორც რელიგიას, ვაჭრობას, ასტრონომიას, ისე ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობებს: შიშს, გაბრაზებას, სიყვარულს.

ვ) თუმცა, რადგან ახალ აღმოჩენებს ბოლო არ უჩანს, ეს საქმე ჯერაც არაა დასრულებული.

ზ) მათ რამდენიმე ათეული წელი მოანდომეს ლექსიკონის I ტომის გამოცემას.

თ) მათ ცალკეულ სიტყვასთან დაკავშირებული ის ტექსტები უნდა მოეძიათ, რომლებიც კონკრეტულ კონტექსტში ამ სიტყვის მნიშვნელობის ასახსნელად იყო საჭირო.

ი) მეცნიერებმა დღემდე არ იციან ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა.

კ) მეცნიერებმა, რომლებიც აღნიშნული ტექსტების წაკითხვაზე მუშაობდნენ, გადაწყვიტეს ლექსიკონის შედგენა.

ლ) შუამდინარული წარწერები მხოლოდ ჩვენთვის უცნობ ცივილიზაციას არ გვაცნობს.

მ) ამოკვეთილი ასოები ლურსმნის ფორმას წააგავდა.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(10) **23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ).* აღნიშვნები გააკეთეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში *(ნიმუში მოცემულია).***
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე.

1. თამაშს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. მისი საშუალებით ბავშვი ვითარდება ფიზიკურად, გონებრივად და სოციალურად. თამაშის დახმარებით პატარები დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად შეისწავლიან საკუთარ გარემოსა და ადამიანებს; სწავლობენ პრობლემების მოგვარებასა და ურთიერთობის დამყარებას სხვებთან. გარდა ამისა, თამაშის პროცესში ბავშვი ეუფლება ურთიერთობისათვის აუცილებელ ლექსიკას, იკვლევს მისთვის უცნობ სამყაროს.

2. თამაშში ბავშვები ხალისით ერთვებიან და ინტერესით ასრულებენ საკუთარ ფუნქციას; სწავლობენ როლის გათავისებას; არიან უფრო კონცენტრირებულები და ყურადღებიანები, რაც მათ ახალი ინფორმაციის უკეთ ათვისებასა და გააზრებაში ეხმარება. იმ განცდებისა და ემოციების ფონზე, რომლებსაც თამაშის პროცესში გამოხატავენ, პატარები უფრო მარტივად, დამოუკიდებლად იძენენ ახალ ცოდნას და იღებენ გამოცდილებას. თამაში კონფლიქტების გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბების ეფექტიანი საშუალებაა. სტრესისა და შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევაში ბავშვებს განსაკუთრებით უწყობს ხელს ფიზიკური თამაშები.

3. თამაშის დროს ბავშვებს უფროსების იმიტირება უყვართ. ხშირად ისინი ყოველდღიურ სცენებს დგამენ და იმეორებენ მშობლების ქცევას. გოგონა თოჯინას აძინებს ან თავის პატარა მეგობრებთან ერთად საჭმელს ამზადებს. ბიჭები თავიანთი „ავტომანქანებით“ აქეთ-იქით დაქრიან და ძრავას თავადვე ახმოვანებენ, თითქოს ნამდვილი მანქანები ჰყავდეთ. მშობლებს უნდა შეეძლოთ ასწავლონ და უჩვენონ ბავშვებს, როგორ ითამაშონ, თანაც ეს ისე უნდა მოახერხონ, რომ არ შეზღუდონ მათი დამოუკიდებლობა და შეუნარჩუნონ თამაშს შემოქმედებითი, განუმეორებელი ხიბლი.

4. ამ პროცესში უფროსების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. მათ მიერ ეფექტურად წარმართული თამაშები ფსიქოლოგიურად ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამიტომ სასურველია, მშობლებმა და აღმზრდელებმა იცოდნენ თითოეული ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების დონე, შესაძლებლობები და ინდივიდუალური თავისებურებები. ამასთან ერთად, უნდა იცოდნენ კონკრეტული სათამაშოს დანიშნულება და შეეძლოთ მათი შერჩევა ასაკობრივი პრინციპის გათვალისწინებით.

5. თანამედროვე ბავშვები ხშირად დიდ დროს უთმობენ ერთფეროვან, უინტერესო კომპიუტერულ თამაშებს მაშინ, როცა მათთვის უმნიშვნელოვანესია გონებრივი განვითარება. სხვა აქტივობებთან ერთად, ამის შესანიშნავი საშუალება ხატვაა. ხატვის დროს ვითარდება შემოქმედებითი უნარი, მხედველობითი აღქმა, მეხსიერება, ნებისყოფა. ბავშვი დეტალურად ეცნობა სხვადასხვა ფორმას, გარემოს; უღვივდება ინტერესი, ცნობისმოყვარეობა; სწავლობს მიზნის დასახვასა და შესრულებას, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას; ხატვის პროცესში ის განიცდის სიხარულსა და თვითკმაყოფილებას.

6. სათამაშოების შემქმნელებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ პროფესიონალი ფსიქოლოგების, პედიატრებისა და ექსპერტების რჩევები, რათა თავიანთი შემოქმედებით ხელი შეუწყონ ბავშვის ჯანსაღ განვითარებას.

წინადადების №	წინადადებები	დიახ	არა	აბზაცის №
0.	ბავშვის ჯანსაღი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სათამაშოების შემქმნელებმა ყურადღება მიაქციონ სპეციალისტების რეკომენდაციებს.	X		6
1.	თამაშის დროს ბავშვები უფროსებს ჰბაძავენ ხოლმე.			
2.	თამაშის დროს გამოხატული ემოციები ხელს უშლის ბავშვს ახალი ცოდნის ათვისებაში.			
3.	თამაშის პროცესი ბავშვს კომუნიკაციის უნარს უვითარებს.			
4.	თამაშის როლი მნიშვნელოვანია, რადგან მისი მეშვეობით ბავშვი სხვადასხვაგვარი კუთხით ყალიბდება.			
5.	მშობელმა ისე უნდა წარმართოს ბავშვის თამაში, რომ ხელი არ შეუშალოს შვილს თავისთავადობის, ინდივიდუალობის გამოვლენაში.			
6.	რაც უფრო მეტადაა ბავშვი ჩართული თამაშში, მით უფრო ნაკლებად ითვისებს ახალ ინფორმაციას.			
7.	როგორც ხატვა, ისე ნებისმიერი კომპიუტერული თამაში ბავშვს შემოქმედებით უნარს უვითარებს.			
8.	სათამაშოს ასაკობრივი შერჩევის პრინციპში იგულისხმება ყურადღების გამახვილება ამ სათამაშოს დანიშნულებაზე.			
9.	სხვადასხვაგვარი სირთულის დაძლევაში ზოგიერთი თამაში ბავშვს განსაკუთრებით ეხმარება.			
10.	ყველა ბავშვს ფსიქოლოგიური განვითარების ერთნაირი დონე აქვს.			

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

ყველასათვის ცნობილია, რომ გაკვეთილზე ზოგი ბავშვი სწრაფად ითვისებს მასალას და აქტიურობს, ზოგი კი ვერ ახერხებს მხარი აუბას მათ და ჩაერთოს სასწავლო პროცესში. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ განსხვავებული შესაძლებლობების ბავშვები სხვადასხვა კლასში უნდა სწავლობდნენ.

შავი სამუშაოსათვის:

IV. მეთოდიკა (30 ქულა)

(10) **25.** ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა).

ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ *(ნიმუში მოცემულია).* არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე.

ტექსტი	სწორი ვარიანტები
ძველი წელთაღრიცხვის მე-2 და 1-ელი ათასწლეულების მიჯნაზე ქართველურ- მა ტომებმა შექმნეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება კოლხა. ეს სახელწოდება პირველად გვხვდება ჩვენ წელთაღრიცხვამდე შექმნილ ლურსმულ წარწერებში. კოლხეთის ძლევამოსილების შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი იმფორმაცია მოი- პოვება ძველბერძნულ და რომაულ წყაროში. განსაკუთრებით საინტერესო ცნო- ბებს გვაწვდის მითი არგონავტების შესახებ. ბერძნულ მითოლოგიის ეს გმირები იასონის მეთაურობით კოლხეთში გაემგზავრენ ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდე- ბად, რადგან იგი ძლიერებისა და სიმდიდრის ერთგვარ სიმბოლოდ მიაჩნდათ. იმ დროს, როგორც თქმულებიდან სჩანს, კოლხეთის მეფე იყო უძლეველი აიეტი. მითში ასახულია კოლხთა წესჩვეულებები, მათი სამეურნეო საქმიანობა. როგორც ცნობილია, კოლხეთის სამეფო ძველი წელთაღრიცხვის VIII-ე საუკუნეში ჩრდი- ლოეთიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა გაანადგურეს.	**00.** ------ **1-ლი** ------ **0.** --------- **√** ---------- 1. ---------- 2. ---------- 3. ---------- 4. ---------- 5. ---------- 6. ---------- 7. ---------- 8. ---------- 9. ---------- 10. ----------

(4) **26. ცხრილში მოცემულ თითოეულ <u>სასწავლო ქმედებას</u> შეუსაბამეთ ერთ-ერთი <u>მიზანი</u>. გაითვალის-წინეთ, ჩამოთვლილთაგან <u>ოთხი მიზანი</u> ზედმეტია.**

სასწავლო ქმედება	მიზანი
1. თემაზე „ჩემი საყვარელი წიგნი“ მოსწავლეები წერენ ორ წერილს, რომელთაგან ერთის ადრესატი წიგნის ავ-ტორია, მეორისა – მეგობარი.	**ა)** ახალი მასალის უკეთ გააზრების მიზნით წი-ნარე ცოდნის გააქტიურება. **ბ)** ბრუნვათა ფორმებზე დაკვირვებისა და მათი გაანალიზების უნარ-ჩვევების გამომუშავე-ბა.
2. მასწავლებელი დამარცვლით წარმოთქვამს ნაცნობ სიტყვებს, მოსწავლეები კი ამთლიანებენ მარცვლებს და ისე იმეორებენ თითოეულ სიტყვას.	**გ)** ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის შე-საბამისი სტრატეგიის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება. **დ)** მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინე-ბით ტექსტის შექმნისას შესაფერისი სტი-ლის შერჩევის უნარ-ჩვევის გამომუშავება.
3. მაქვს და მყავს ზმნების ფუნქციის ახსნამდე მოსწავ-ლეებმა შესაბამის სქემაში უნდა ჩაწერონ სულიერთა და უსულოთა ჯგუფის ის სახელები, რომლებიც მასწავლებ-ლის მიერ შედგენილ ტექსტშია მოცემული.	**ე)** ტექსტის დეტალურად გაგება-გააზრების უნარის შემოწმება. **ვ)** ტექსტის რედაქტირების უნარ-ჩვევების გა-მომუშავება.
4. მოსწავლეები ისმენენ ორ დიალოგს და მასწავლებ-ლის მიერ წინასწარ შეთავაზებული ოთხი სათაურიდან თითოეულისთვის არჩევენ შესაბამისს.	**ზ)** ტექსტის ძირითადი აზრის გაგების უნარის შემოწმება. **თ)** ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშა-ვება.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 26-ე ნომრის გასწვრივ მოცე-მულ ცხრილში თითოეული აქტივობის რიგითი ნომრისა და შესაბამისი მიზნის აღმნიშვნელი ასოს <u>გადა-მკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(2) **27. ბრუნვების სწავლებისას მასწავლებელმა ჯერ მიცემითი ბრუნვის ფორმა და ფუნქციები აუხსნა მოსწავლეებს, შემდეგ გაკვეთილზე კი განიხილა მოთხრობით ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხები.**

დაწერეთ არგუმენტები, რომელთა მეშვეობით დაასაბუთებთ მასწავლებლის მიერ ბრუნვათა ამ თანამიმდევრობით სწავლების მართებულობას.

---

(7) **28. მასწავლებელმა მხატვრული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრების მიზნით მოსწავლეებს წაუკითხა ნაწარმოები და უთარგმნა მათს მშობლიურ ენაზე.**

(1) **I.** ***დაწერეთ,*** რა არის ამ სასწავლო ქმედების უარყოფითი მხარე.

---

(2) **II.** ***აღწერეთ აქტივობა,*** რომელსაც იყენებთ მხატვრული ტექსტის <u>წაკითხვამდე</u> და ***იმსჯელეთ*** მის ეფექტიანობაზე.

---

(2) **III.** ***აღწერეთ აქტივობა,*** რომელსაც იყენებთ მხატვრული ტექსტის <u>კითხვისას</u> და ***იმსჯელეთ*** მის ეფექტიანობაზე.

---

(2) **IV.** ***აღწერეთ აქტივობა,*** რომელსაც იყენებთ მხატვრული ტექსტის <u>წაკითხვის შემდეგ</u> და ***იმსჯელეთ*** მის ეფექტიანობაზე.

---

(3) **29. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *მასწავლებელმა წელს საქართველოს მთიანეთის ყველაზე ულამაზესი ადგილები დაგვათვალიერებინა.*

ა) ***გაუსწორეთ*** მოსწავლეს შეცდომა.

ბ) ***დაასახელეთ,*** რა ტიპის შეცდომა ან ხარვეზია მოცემულ წინადადებაში: მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური თუ სტილისტური.

გ) ***დაწერეთ,*** რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

(2) **30. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *და-ძმა სკოლაში სიბეჯითით გამოირჩეოდნენ.*

ა) ***გაუსწორეთ*** მოსწავლეს შეცდომა.

ბ) ***დაწერეთ,*** რა უნდა იცოდეს მან, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

(2) **31. თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ პერსონაჟის დახასიათების უნარ-ჩვევები. ამის მისაღწევად შეარჩიეთ ნაწარმოები, რომლის ერთ-ერთი გმირი თქვენი მოსწავლეების თანატოლია.**

ა) ***დაასახელეთ*** შესაბამისი ნაწარმოები.

ბ) ***დაასაბუთეთ,*** რომ თქვენ მიერ შერჩეული ტექსტი დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში.